პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 4 ივნისი, 1943 წ. № 120 (6745). ფასი 20 კაპ.

თითოეულ კოლმეურნეობას საბავშვო ბაგები და მოედნები!

მთელი ძალით არის გაშლილი უხვი სამხედრო მოსავლისათვის ბრძოლა. მინდვრის სამუშაოები სულ უფრო და უფრო მეტ მუშახელს მოითხოვს. შრომის ფრონტზე ამ გმირულ ბრძოლაში საბჭოთა პატრიოტი ქალები სოფლად ახლა გადამწყვეტ როლს ასრულებენ. საკოლმეურნეო შრომაში ქალთა მაქსიმალურად ჩაბმა დიდად არის დამოკიდებული კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ბავშვთა ბაგებისა და მოედნების მოწყობაზე. ბავშვებიან ქალებს, ბუნებრივია, თუ პირობები არ შევუქმენით თავისი ბავშვი სამუშაო დროის განმავლობაში საიმედო ადგილზე, მზრუნველის ხელში იყოლიოს, იგი ნაყოფიერად ვერ იმუშავებს მინდვრად. მისი შრომა კი სამამულო ომის დღეებში განსაკუთრებით ძვირფასია.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა სერიოზული ყურადღება მიაქცია სოფლად ქალთა შრომის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობასთან საბავშვო ბაგებისა და მოედნების მოწყობას, აგრეთვე ბავშვების ჯეროვანი მოვლისა და შენახვის უზრუნველყოფას. პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად, ამ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში უაღრესად აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას ასრულებენ კომკავშირული ორგანიზაციები.

აპრილში შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს მოსკოვის ოლქის პუშკინის რაიონის კომკავშირელებმა, რომლებმაც მოწოდებით მიმართეს საბჭოთა კავშირის ყველა კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს — მოაწყონ საბავშვო ბაგები და მოედნები თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობასთან. მათ თავის მხრივ მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს. მაგალითად, 60 კოლმეურნეობაში საბავშვო ბაგებისა და მოედნების მოწყობა 1940 ბავშვისათვის, 22 კოლმეურნეობაზე, სადაც ბავშვები მცირე რაოდენობით არიან, უფროსი კლასების მოსწავლეების მიმაგრება ბავშვების მოსავლელად, საბავშვო ბაგის 28 შენობის შეკეთება, ადგილობრივი მასალებისაგან კომკავშირის ძალებით ბავშვების საწოლების, მაგიდების, სკამების, აგრეთვე მაისურებისა და ტრუსების დამზადება, ლოგინისა და თეთრეულის 2.800 კომპლექტისა და 71.760 ცალი ჭურჭლის შეგროვება, 50 კომკავშირელი ვაჟისა და გოგონების აღმზრდელად გაგზავნა ბაგებსა და მოედნებში, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად მათი გადამზადება ხუთდღიან საინსტრუქციო სემინარებზე და ა. შ.

პუშკინელი ამხანაგების ამ მისაბაძ ინიციატივას ფართოდ უნდა გამოეხმაურონ საბჭოთა საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები, მთელი ჩვენი ახალგაზრდობა. პუშკინელი ამხანაგების მიერ ნაკისრი ანალოგიური ვალდებულებების აღება და შესრულება ხომ თითოეულ ჩვენს კომკავშირულ ორგანიზაციას შეუძლია! საჭიროა მხოლოდ გულისხმიერება, მეტი მონდომება, ნამდვილად კომკავშირული ინიციატივა. პიონერულ ორგანიზაციებსაც ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. პიონერები გულთბილ ალერსთან და სიყვარულთან ერთად, თავის კიდევ უფრო პატარა მეგობრებთან მიიტანენ საინტერესო გასართობებს, დაეხმარებიან ბაგებსა და მოედნებს მათს განკარგულებაში არსებული საშუალებებით.

ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდ უმრავლესობაში კარგად მუშაობენ საბავშვო ბაგები და მოედნები. მათ ყოველდღიურ დახმარებას უწევენ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები. საბავშვო ბაგები კარგად მოაწყეს, მაგალითად, თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის ლ. ბერიას სახელობის, ბოლნისის რაიონის სტალინის სახელობის, მახარაძის რაიონის ნატანების ლ. ბერიას სახელობის, ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის ორჯონიკიძის სახელობისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. მაგრამ არის ნაკლიც. ზოგან სრულებით არ არის მოწყობილი საბავშვო ბაგები და მოედნები. მაგალითად, სტალინირის რაიონის სოფ. გუჯაბაურის კოლმეურნეობას (გამგეობის თავმჯდომარე გრ. დოგუზოვი) საბავშვო ბაგა არა აქვს, რის გამო იქ სამუშაოს ყოველდღიურად აცდენს 10 ქალი. განა ეს დასაშვებია?

პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა ყოველდღიურად უნდა იზრუნონ საბავშვო ბაგებსა და მოედნებზე. ხოლო იქ, სადაც ასეთი არ არის, დაუყოვნებლივ მოაწყონ ბაგები და მოედნები. თუ სურვილია, საშუალება ყოველთვის გამოინახება. თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობასთან უნდა მოეწყოს საბავშვო ბაგები და მოედნები—ასეთია ამოცანა. ეს ხელს შეუწყობს და დაეხმარება ქალთა შრომის მაქსიმალურად გამოყენებას მიმდინარე წელს უხვი სამხედრო მოსავლისათვის ბრძოლაში. საშუალებას მისცემს ბევრ პატრიოტ კოლმეურნე ქალს ბავშვის აღზრდასთან ერთად თავისი ენერგია გამოიყენოს შრომის ფრონტზე, დაეხმაროს გმირ წითელ არმიას ჰიტლერელ ოკუპანტთა სრული განადგურების დაჩქარებაში.

ზესაფონი, საქართველოს სსრ „გლავსპეცსაფალის" ქარხნის № 4 საამქროს უფროსს გიორგი იასონის-ძე სიორიძეს

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, გიორგი იასონის-ძე, წითელ არმიის საჰაერო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

ბ-ნი ჯოზეფ ე. დევისის დაბრუნება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 2 ივნისი (საკადრო). ამა წლის 31 მაისს საბჭოთა კავშირში ორი კვირის ყოფნის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ბ-ნი ჯოზეფ ე. დევისი.

პოდპოლკოვნიკ ვ. ს. კაჩკაშვილის დაჯილდოება

წითელი არმიის ოპერატიული და საორგანიზაციო მუშაობის დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია წითელი არმიის უფროსთა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობა.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არის პოდპოლკოვნიკი ვალერიან სერგის-ძე **კაჩკაშვილი.**

ჩვენი ავიაციის თავდასხმები რკინიგზის კვანძ სმოლენსკზე და სადგურებზე—ყარაჩევსა და კრასნი ბორზე

1 ივნისს ღამით ჩვენმა შორმოქმედმა ავიაციამ მასირებული თავდასხმები მოახდინა რკინიგზის კვანძ სმოლენსკზე და სადგურებზე—ყარაჩევსა და კრასნი ბორზე. მოწინააღმდეგის ეშელონების დაბომბვის შედეგად რკინიგზის კვანძ სმოლენსკზე ბევრად ხანძარი გაჩნდა, რასაც აფეთქებანი მოჰყვა. რკინიგზის სადგურ კარაჩევის რაიონში ჩვენმა მფრინავებმა საომარი მასალის საწყობებს ძლიერი აფეთქებანი შენიშნეს.

ჩვენი ავიაციის თავდასხმები რკინიგზის კვანძებზე—კიევსა და როსლავლზე

2 ივნისს ღამით ჩვენი შორმოქმედი ავიაცია დიდი ძალებით დაესხა თავს რკინიგზის კვანძებს კიევსა და როსლავლს. ჩვენმა თვითმფრინავებმა ამ კვანძებში დაბომბეს მოწინააღმდეგის სარკინიგზო ეშელონები და ხაწყობები.

დაბომბვის შედეგად დაიმტვრა და დაიწვა ბევრი სარკინიგზო ეშელონი, აგრეთვე მოხდა ძლიერი აფეთქებანი. განსაკუთრებით დიდი ხანძრები შეამჩნიეს ჩვენმა მფრინავებმა კიევის რკინიგზის ლინდაგებზე და საწყობების რაიონში. ხანძრებს თან სდევდა უდიდესი ძალის აფეთქებანი.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი, გარდა ორისა, თავის ბაზებში დაბრუნდა.

გერმანიის ავიაციის თავდასხმა კურსკზე

2 ივნისს დღისით გერმანიის ავიაციამ დიდი ძალებით ხუთი თავდასხმა მოახდინა რკინიგზის კვანძ და ქალაქ კურსკზე. ამ თავდასხმებში მონაწილეობას იღებდა მოწინააღმდეგის 500-მდე თვითმფრინავი. გერმანელთა თვითმფრინავების ერთგვარი რაოდენობა ქალაქისაკენ გამოიჭრა და უწესრიგოდ ჩამოყარეს ბომბებით მატერიალური ზარალი მოუყენა ქალაქს. არის მსხვერპლი.

კურსკზე მტრის ავიაციის თავდასხმების მოგერიებისას უძლიერესი საჰაერო ბრძოლები გაჩაღდა, ამ ბრძოლების შედეგად ჩვენმა ავიაციამ მასირებული თავდასხმები მოუგერიეს. ჩვენ ჩამოგდებულ ფაშისტურ თვითმფრინავებს ... ...

ყუბანის ცა

(„პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტისაგან)

ყუბანის ცისქვეშ, მისი კაშკაშა, სამხრეთის მცხუნვარე მზის სხივებში ხარობს პურეული, ჰყვავის ვაშლი და მსხალი, თავის წითელ ფურცლებს გადაშლის ყაყაჩო. ოქროსფერ, ლამაზ ცაში ცხარე ბრძოლაა. ნაზი, მტრედისფერი მისი სივრცეები გადაქცეულია გააფთრებული ბრძოლების სარბიელად, ღრუბელი და ნისლი საფარს წარმოადგენს, ხოლო თვალმომჭრელი კაშკაშა მზე ჰფარავს პარჭით მომავალი მტრის კონტურებს. ჰაერის ოკეანეში ჰქუხს ზარბაზნები, კაკანებს ტყვიამფრქვევები, სცდება ყუმბარები და, ჭეშმარიტად, ალმური ედება ცას.

აქ დიდი საჰაერო ბრძოლები სწარმოებს, ასობით ჩვენი და მტრის თვითმფრინავები დღეში ათასობით გაფრენას ახდენენ და ცხარე შეტაკებაში ხვდებიან ერთმანეთს. გერმანელთა ავიაცია სასტიკად გრძნობს ჩვენი საჰაერო ძალების ძლიერებას. ამას მოწმობენ ათობით ჩამოგდებული გერმანელთა თვითმფრინავები, ფაშისტი მფრინავების გვამები კაბკასიის მთისძირებში და ტამანის ჭალაკებში, დასასრულ, ტყვეები, რომლებიც შიშითა და ნერვიულად გასცქერიან ცის ტატნობს.

გერმანელმა მფრინავებმა თავიანთ ტყავზე იგემეს, რომ ყუბანის ცაში გაჩნდა საჰაერო საზღვარი, რომლის გადალახვა არც ისე ადვილია, რომელშიც გზა ბრძოლით, მსხვერპლით, ჩამოგდებული და დამწვარი თვითმფრინავების ფასად უნდა გაიკაფო. ამიტომ არის, რომ ასე ჩქარობენ ახლა „იუნკერსები“ და „ჰაინკელები“, ასე ნერვიულობენ „მესერშმიტები“. ისინი მიზანს ვერ აღწევენ და მანამდე სწრაფად ჰყრიან ტვირთს და აჩქარებით გარბიან თავიანთი ბაზებისაკენ, ანდა იძულებულნი არიან ჩაებან ბრძოლაში და მაშინ...

ჩვენს ზევით ბრძოლაა, მასში მონაწილეობს არანაკლებ ასეული თვითმფრინავისა, რომლებიც ცალკე ჯგუფებად არიან გაფანტულნი. ბრძოლა სხვადასხვა სიმაღლეზე სწარმოებს ცაში გუგუნი დგას. ისვრიან ტყვიამფრქვევები და ზარბაზნები, ზუზუნებენ ბომბები, წვიან მოტორები ავიაგამანადგურებლებისა. რომლებიც ვერტიკალით მიჰქრიან მაღლა. როგორღაც თვისებურად კვნესავენ პიკედან გამომავალი მანქანები, მტკარით ღმუიან თვითმფრინავები, რომლებიც მძაფრად მიეჭანებიან მიზნისაკენ.

როცა საჰაერო ბრძოლას მიწიდან აკვირდები, ხედავ, თუ როგორ მიძვრებიან თვითმფრინავები მოულოდნელად და მძაფრად მიჰჭრიან დაბლა. სანთელსავით მიემართებიან ზევით, აკეთებენ მკვეთრ ვირაჟებს, გადაყირავდებიან... ჯგონია, რომ შეჯიბრება სწარმოებს უმაღლეს პილოტაჟში. მაგრამ მოულოდნელად გაჩენილი ცეცხლი და თეთრი კვამლი, რომელიც შლეიფად მოსდებია ძირსდაენგნებული თვითმფრინავის ბოლოს, გაიძულებს უკუაგდო ფიქრი, თითქოს აქ სპორტი იყოს.

მიწაზე აშკარად სჩანს საჰაერო შეტაკებათა ფაქტი: დამწვარი თვითმფრინავები, რომლებსაც ფრთებზე შავი ჯვარი აქვთ. გერმანელი „ასს“-ების განაზარებული და გასისხლიანებული გვამები და „მესერშმიტის“ ხერხემალი, რომელიც იასამანის ბუჩქიდან გამოშვერილა ომიან!

ახლა აეროდრომებზე ერთი ამბავია. მფრინავებს მწიანე მინდორზე დაუსხამთ თავიანთი მანქანები, გამოდიან ავბინებიდან, იხდიან გიმნასტიორებს, შემდეგ პერანგს, სწურავენ მას და ჩაილაპარაკებენ—ცაში ცხელაო...

თვითმფრინავები ზედიზედ ეშვებიან დაბლა და, როცა მფრინავთა ერთი ჯგუფი მიწის ქვეშ ჩადის ხის კიბის ციცაბო საფეხურებით პოლკის მეთაურისათვის პატაკის წარსადგენად, სხვა ჯგუფი გაშლის თავის მანქანების ფრთებს და დასავლეთისაკენ მიემართება.

მიწის ქვეშ, პოლკის საკომანდო პუნქტში, თავისებური ცხოვრებაა. მფრინავები საჰაერო ღუელებზე ლაპარაკობენ. შტაბის მუშაკები ფანქარს მიმოავლებენ დიდ, ორვერსიან რუკაზე; მეკავშირენი იღებენ მოხსენებებს და გადასცემენ ბრძანებებს.

და ახლა ყუბანის ცას კვლავ მოეღო ვრგვინვით სახელები ძმების გლინკებისა, ყუბანის მთის არწივის კარდანოვისა, ვოლგელ სპორტსმენ ვადიმ ფადეევისა, ახალგაზრდა მფრინავებისა—ნაუმოვის, კამელკოვის, ორლოვის, ბოგაჩევისა, ნაკადი მებრძოლების — ლავრენევის და სელეზნიოვისა, რომლებმაც ერთ ბრძოლაში გერმანელთა სამ-სამი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ამ დღეებში ჰაერის მეფე აღმოჩნდა ლენინგრადელი შოფერი, მაიორი ვლადიმერ სემენიშინი, რომელმაც ეს-ეს არის მიიღო საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. თავისი პატარა სწრაფმავალი ავიაგამანადგურებლით ის მძიმე ბრძოლას აწარმოებდა ფრონტის ხაზის წინა კიდეზე და განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია. სემენიშინმა ოსტატურად ჩამოაგდო 4 „მესერშმიტი“, რომლებიც ცდილობდნენ დაეფარათ „ჰაინკელებისა“ და „იუნკერსების“ დიდი ჯგუფი. ამ ბრძოლაში სემენიშინმა ერთხელ კიდევ გამოააშკარავა საბჭოთა პილოტაჟის კლასი.

უდიდეს ზარალს აყენებს მტერს ჩვენი მოაერაშე ავიაცია. იგი დიდ ჯგუფებად უეცრად ესხმის თავს გერმანელთა ჯარების განლაგებას, მანქანების კოლონებს, სამგზავრეებსა და ბლინდაჟებს და მუსრს ავლებს მათ თავისი ბომბების, ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების მარჯვე ცეცხლით. ახალგაზრდა პილოტები—ალექსანდრე გაშენკო — კონსტანტინოვკის მინის ქარხნის მუშა, პავლე ნოვიკოვი—ქალაქ შახტის რესტორან „ინტურისტის“ ჭზარეული, ივანე ბიტიუკოვი—დონბასის მარილის სამადნოების ცხენმატარი, მიხეილ ასტახოვი—მოსკოვის საინჟინერო-სამშენებლო ინსტიტუტის სტუდენტი, კორსუნი, ვორტენი, კანატნიკოვი, ლოპატინი,—აი ესენი—ჩვენი სახელოვანი მოიერიშეები, რომლებმაც უკვე მრავალი ტონა ფუგასური ბომბი დააყარეს გერმანელებს თავს, ფაშისტთა მრავალი სიმაგრე დაანგრიეს, ათასობით მტერი გაჟლიტეს.

ჩვენი მოიერიშე და ბომბდამშენი ავიაციის აქტივობა ღიღით-ღიღ იზრდება. გამანადგურებელი ჩვენი ავიაციის თავდაცვა ღიღითღიღ მტკიცდება.

გერმანელი საჰაერო პირატები ზოგჯერ კიდევ ახერხებენ ჩვენი ჯარების განლაგების რაიონებზე პიკირებას. ახერხებენ ცალკეული თვითმფრინავებით გამოიჭრან ზურგში ჩვენი კომუნიკაციებისაკენ, ჩვენი მშვიდობიანი ქალაქებისაკენ, მაგრამ ეს ძალიან ძვირად უჯღებათ მათ.

* * *

ღრე ილეკა. ცის განუწყვეტელი გუგუნი ცხრება. მაგრამ აეროდრომზე სიცოცხლე ისევ ღუღს. დასასრულ, მინდორს მკაცრი ბნელი ღამე ჩამოაწვება. შავ მინდორში აჩრდილებივით დადიან ტყავის პალტოიანი და მუზარადიანი შავი ფიგურები. მიძვრებიან ბომბებით დატვირთული ავტომობილები. პოლკის მეთაური საქმიანად ჩამოუვლის ეკიპაჟებს და დარიგების კილოთი აფრთხილებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ღღეკანდელ გაფრენებს.

კიდევ ერთი წამი, და დათქმული სიგნალის მიხედვით ბომბდამშენები მიდიან ღამეში. სიცოცხლე ჰაერში გრძელდება. გუგუნებს მოტორები, სადღაც შორს გაიელვებს საზენიტო ყუმბარების აფეთქების წითელი ალი, სჩანს მოტრასირე ტყვიების ფერადი გზა, და პროეკტორთა გრძელი ხელები საქმიანად დაეძებენ ღამეში.

მ. მერჭანოვი

ყუბანი, ივნისი.
„პრავდა“, 3 ივნისი.

ინგლისი

ბრიტანეთის იმპერიის შეიარაღებულ ძალთა პირადი შემადგენლობის ზარალი ომის პირველი სამი წლის განმავლობაში

ეტლის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 1 ივნისი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ეტლინ თემთა პალატაში გამოაცხადა ცნობები ბრიტანეთის იმპერიის შეიარაღებულ ძალთა პირადი შემადგენლობის ზარალის შესახებ ომის პირველი სამი წლის განმავლობაში. ეტლიმ სთქვა, რომ საერთო ზარალი მოკლულთა, დაჭრილთა, უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა სახით 514.993 კაცს შეადგენს, რომელთა შორის 92.089 მოკლულია, 226.719—უკვალოდ დაკარგული, 88.294 — დაჭრილი და 107.891 ტყვე. ამაში არ შედის ცნობები ბუნებრივი მიზეზებით გარდაცვლილთა შესახებ.

იაპონია-ჩინეთის ომი

ჩინეთის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ხუბეის პროვინციის საჰხრეთ ნაწილში ჩინეთის ჯარები გარს შემოერტყნენ და მოსპეს იაპონელთა შეიარაღებული ძალები, რომელნიც იფარავდნენ იუიანგუანიდან იაპონიის 12-13 დივიზიის უკან დახევას. ჩინეთის ჯარებმა ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო მასალა. იაპონელთა ჯარების ნაშთები იჩაინის დასავლეთით მოსპობილია. იაპონელთა ჯარები, რომელთაც 30 მილით დაიხიეს იუიანგუანის სამხრეთ-აღმოსავლეთით. გარშემორტყმული არიან და გრძელდება ოპერაციები მათ მოსასპობად. ამ სექტორში იაპონიის ავიაციის ინტენსივობა მეტად შემცირდა.

2 ივნისი. (საკდესი).

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 3 ივნისი (საკდესი). ინგლისის ავიაციის მინისტრის მოადგილემ ბალფურმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისის ბომბდამშენებმა მაისში გერმანიას დააყარეს დაახლოებით 12.500 ტონა ბომბი. „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ,—სთქვა ბალფურმა,—რომ მომავალში შევძლებთ გავადიდოთ ამგვარი „საჭონლის მიწოდება“ გერმანიისათვის“.

ინფორმაციის სამინისტროს ცნობით, მოწიაღმდეგემ მაისში ინგლისში დაჰკარგა 60 თვითმფრინავი. დასავლეთ ევროპაში—282 მანქანა. მოკავშირეებს ინგლისში ზარალი არა ჰქონიათ, დასავლეთ ევროპაში ინგლისმა დაჰკარგა 316 თვითმფრინავი, ამერიკამ—86. საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ოსტარეზზე იტალია-გერმანიის ავიაციამ დაჰკარგა 371 თვითმფრინავი, მოკავშირეებმა დაჰკარგეს—113.

ლონდონი, 3 ივნისი (საკდესი). როგორც ავიაციის სამინისტრო იუწყება, გუშინ ინგლისის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ორთქლმავლებსა და კარჭაპებზე ჩრდილოეთ საფრანგეთსა და ბელგიაში. ჰოლანდიის სანაპიროსთან მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთი და დაზიანებულია 3 შეიარაღებული ტრალერი.

გერმანიის თვითმფრინავებმა გუშინ დილით ბომბები ჩამოჰყარეს აღმოსავლეთ ინგლისის სანაპიროს ახლოს მდებარე რამდენიმე პუნქტში. არის მსხვერპლი.

ხმელთაშუა ზღვის ბასეინში მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა თავის იერიშებს სარღინიისა და პანტელერიის წინააღმდეგ. ეგეოსის ზღვაში ჩაძირულია მოწინააღმდეგის 2 იალქნიანი გემი.

როგორც ახლა გამორკვა, ტუნისის, ბიზერტისა და ბონის კონცხის რაიონებში იპოვნეს 558 თვითმფრინავი და მათი ნაწილები. აქედან 433 თვითმფრინავი გერმანელებისაა და 125—იტალიელებისა.

ფრანგი ხალხის შურისძიება კიჟღერაულ ოკუპანტებზე

ლონდონი, 3 ივნისი (საკდესი). ლონდონში გამომავალი გაზეთი „ფრანსი“ იუწყება, რომ მარტო ამა წლის პირველი 4 თვის განმავლობაში ფრანგი პატრიოტების ცალკეულმა ჯგუფებმა და პარტიზანულმა რაზმებმა დასწვეს ან აიფეთქეს 32 საწარმო. პადე-კალეს დეპარტამენტში დივერსიის შედეგად სერიოზულად არის დაზიანებული 3 ელექტროსადგური და დანგრეულია 28 სატრანსფორმატორო ქვესადგური. ამავე დეპარტამენტში დაზიანებულია მაღალი ძაბვის 27 ხაზი და გაფუჭებულია მთელი რიგი საშახტო დანადგარები. მოსპობილია გერმანელთა 193 სატვირთო მანქანა და ჩაძირულია 17 კარჭაპი გერმანელთა ტვირთიანად. ატლანტიკის სანაპიროს ერთ-ერთ ნავსადგურში აფეთქებულია ორი დიდი სატვირთო გემი. დამწვარია ავრეთვე 27 საწყობი ფურაჟიანად და რამდენიმე ათეული საწყობი საწვავი.

საბჭოთა ფლოტის მშენებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 3 ივნისი (საკდესი). როგორც პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ადმირალმა ვიკერმ განაცხადა, მაისში ამერიკის ნავსაშენებმა გამოუშვეს 175 საკაჭრო გემი 1.782.000 ტონა საერთო წყალწყვისა. გასულ 5 თვის განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა ააგეს 711 გემი 7.142.000 ტონა საერთო წყალწყვისა, მაშინ როცა მთელი წარშანდელი წლის მანძილზე აგებული იყო მხოლოდ 8.000.000 ტონაზე ცოტათი მეტი. ამჟამად ნავსაშენებმა თითქმის მიაღწიეს თავიანთი საწარმოო სიმძლავრის საზღვარს.

გასული წლის აგვისტოდან მწყობრს ემატებოდა გაცილებით მეტი გემი, ვიდრე მოკავშირეები ზღვაში ჰკარგავდნენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახავა აქვთ მომავალ წელს ააგონ „გამარჯვების“ ტიპის 400-500 დიდი გემი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან კაჭრობაში ომის შემდგომაც.

საგაზაფხულო კულგურების თესვის გეგმის შესრულება

საქმიწყახკომის 1943 წლის 1 ივნისის ცნობებით

რაიონები	სულ დათესილია საგაზაფხულო კულტურების პროცენტით	მათ შორის			რაიონები	სულ დათესილია საგაზაფხულო კულტურების პროცენტით	მათ შორის		
		მარცვლეული	კარტოფილი	თამბაქო			მარცვლეული	კარტოფილი	თამბაქო
აფხაზეთის ასსრ	88,5	92,2	60,1	91	ქვემო სვანეთი	101,1	102,6	103,3	
აჭარის ასსრ	100	107,7	104	48,4	ზემო სვანეთი	—	—	—	
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	100.7	101,6	100,6		ახალქალაქი	97,1	100,4	100,4	
					ბოგდანოვკა	100	100,8	104.6	
აბაშა	100,2	100,3			ახალციხე	100,8	101,7	100	
ცხაკაია	100,4	100,7			ადიგენი	100	100,2	100,6	
გეგეჭკორი	100,1	100,1			ასპინძა	101,5	101,2	106,7	
ზუგდიდი	99,9	100,5		56	ნაშური	101,9	105,9	102	
ხობი	101.6	101,6			ქარელი	100,1	102,2	131	
წალენჯიხა	102,3	102,5			გორი	101	106,5	112	
ჩხოროწყუ	102.1	103,3			კასპი	101,5	104,1	100	
მახარაძე	100,6	100,4			ბორჯომი	101,2	103,8	100,9	
ლანჩხუთი	90,3	105,4			წალკა	98,5	100,8	103.7	
ჩოხატაური	87,6	91,9	100,5	41,3	დუშეთი	103,4	103,4	103.3	
ფოთი	100,9	101			თეთრი წყარო	101,4	100.1	100	
ქუთაისი	100,2	101,6	101,4		თიანეთი	100	107,8	100,8	
წყალტუბო	101	100,9	100		ყაზბეგი	—	—	—	
სამტრედია	100,3	100,3	100		გურჯაანი	101,5	105,2	79	90
წულუკიძე	100	102,4	100		სიღნაღი	99	100,4	100	89,9
ვანი	98,9	100,9	103,3		წ. თელწყარო	104,1	106,9	85,7	
მაიაკოვსკი	100,9	101	100		თელავი	101,6	104	101,8	
ზესტაფონი	102	103,1	100		ყვარელი	97,9	100,4	100	68,3
ჩხარი	100,1	100	100		ლაგოდეხი	100,3	100,4	100	100
ჭიათურა	100,2	101,1	100		თბილისი	92.5	102,4	43,6	
საჩხერე	103,7	103	102,7		მცხეთა	99,4	112,2	80.5	
ორჯონიკიძე	102,3	102,1	121,4		ყარაია	86.7	106,6	111,5	
ტყიბული	101	101,3	100		ბორჩალო	97,8	106,8	100,8	97,6
ონი	102.8	102,9	100,4		ბოლნისი	99,3	102,2	92,3	77,9
ამბროლაური	101,7	101,8	100		საგარეჯო	100.8	110,1	55,9	
ცაგერი	100,1	99,9	100		ბაშკიჩეთი	105.3	110,8	107,7	

სიღნაღის, ყვარლის, ყარაიისა და ბოლნისის რაიონებიდან ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო ცხრილში შეტანილია 25 მაისის მაჩვენებლები.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

(„საქჩაის“ 1 ივნისის ცნობებით)

რაიონები	მაისის გეგმის შესრულება პროცენტით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტით	რაიონები	მაისის გეგმის შესრულება პროცენტით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტით
ბათუმი	65	15	წულუკიძე	102,3	25,4
ქობულეთი	40	9	ქუთაისი	118,9	28,7
გალი	79,7	18.9	წყალტუბო	115,5	27,7
ოჩამჩირე	56,7	13,6	ტყიბული	103,1	24,7
გულრიპში	33,6	8,2	ცხაკაია	105,5	25,3
სოხუმი	—	—	აბაშა	100	23,3
გუდაუთი	27,8	6,7	გეგეჭკორი	101,2	24,3
მახარაძე	49,5	11,4	ზუგდიდი	100,6	24.3
ჩოხატაური	81,8	18,8	წალენჯიხა	64,6	15,7
ლანჩხუთი	54,3	12,5	ჩხოროწყუ	101,8	24,4
სამტრედია	112,1	26,8	ხობი	103,6	24,8

წალენჯიხის (წალენჯიხის რაიონი), აჩიგვარის (გალის და ოჩამჩირის რაიონები) და გუდაუთის (გუდაუთის რაიონი) ჩაის ფაბრიკებიდან ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო ცხრილში შეტანილია 25 მაისის მაჩვენებლები.

დროულად დავამუშაოთ ნათესები

გულმოდგინედ ამუშავებენ ნათესებს

ხარაგოული („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობებმა ქობულეთის რაიონის კოლმეურნეთა მოწოდების საფუძველზე აქტიურად ჩაებნენ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1943 წლის უხვი საშუალოდ მოსავლის მიღებისათვის. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია რაიონის ყველა კოლმეურნეობა, ყველა საკოლმეურნეო ბრიგადა, რგოლი და მეცხოველეობის ფერმა.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით რაიონის კოლმეურნეობებმა ვადამდე 10 დღით ადრე—პირველი მაისისათვის შეასრულეს თესვის გეგმა და ამავე რიცხვისათვის დაამთავრეს ვენახების მთლიანი გათხრა.

ახლა წარმატებით მიმდინარეობს ნათესების დამუშავება. 30 მაისისათვის გათხრილია 2.502 ჰექტარი სამინდი, რაც გეგმის 26.5 პროცენტს შეადგენს. ვენახების მეორე გათხრის გეგმა შესრულებულია 75 პროცენტით, ხოლო შეწამვლისა 85 პროცენტით.

ნათესების დამუშავებაში წინ არიან სოფ. ღვერკის კოლმეურნეობა „წითელი სხივი“ (თავმჯდომარე აპ. კვინიკაძე), რომელსაც თხრის გეგმა ამავე რიცხვისათვის შესრულებული აქვს 80 პროცენტამდე, გეგასების მეორე ფარგალი მეორედ გათხრილია და შეწამლულია ბორდოს სითხით. ამ კოლმეურნეობის № 3 ბრიგადამ (ბრიგადირი ნ. თხელიძე) სამინდის პირველი თოხნა 28 მაისისათვის დაამთავრა, ხოლო № 5 ბრიგადამ (ბრიგადირი ი. კალანდაძე) 30 მაისისათვის შეასრულა 70 პროცენტით. თოხნაში წინ არიან ავრეთვე ლაშის კოლმეურნეობა „იმედი“, კიცხის—„მაგალითის მაჩვენებელი“, საქარიქედის „ოქტომბრის მონაპოვარი“, ბორითის სტალინის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობები.

დიდი მუშაობა არის გაშლილი მეცხოველეობის განვითარების დარგში. რაიონის კოლმეურნეობებს პირველი მაისისათვის მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმა 97.7 პროცენტით ჰქონდათ შესრულებული, კერძოდ, თხისა და ცხვრის ნოშენებისა 100.2 პროცენტით და ღორისა 155 პროცენტით. კოლმეურნეობები ახლა იჩრდილიან ამისათვის, რომ გაამაღლონ აღებული ვალდებულება—მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმა 1943 წლის 1 ივლისისათვის შესრულონ.

ყვარლის რაიონმა შეასრულა თამბაქოს რგვის გეგმა

ყვარლის რაიონმა თამბაქოს რგვის გეგმა დაწესებულ ვადაზე 100,5 პროცენტით შეასრულა.

საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივანი ციხისთავი
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჯაშიაშვილი

11 გრამიდან 65 კილოგრამი პარკი

წულუკიძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). წულუკიძის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის ცნობილმა სტახანოველმა პელაგო სონოძემ სოციალისტური შეჯიბრებით აღებული ვალდებულება პირნათლად შეასრულა. 27 მაისს 11 გრამი თესლიდან მან სახელმწიფოს ჩაბარა 65 კილოგრამი პირველი ხარისხის აბრეშუმის პარკი—გეგმა შეასრულა 201 პროცენტით.

კ. ცაცუა

ჩაის კრეფის მაისის გეგმის შესრულება

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაისის გეგმა ვადაზე შეასრულეს. 31 მაისის ჩათვლით მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 1.803.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. გეგმა შესრულებულია 100.8 პროცენტით.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი
გ. ჩაჩიბაია

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
გ. საჯაია

ტყიბულის რაიონის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაისის გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 230.000 კილოგრამისა, მოკრეფილია 237.213 კილოგრამი. მოკრეფილი ჩაის ფოთლიდან 81 პროცენტი პირველი ხარისხისაა, ნაცვლად გათვალისწინებული 49 პროცენტისა.

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი
ჯვებაძენავა

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
კასრაშვილი

* * *

სამტრედია („კომუნისტის“ საკ. კორ.). სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებმა 1 ივნისისათვის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს—ნაცვლად 91.000 კილოგრამისა მოკრეფილია 98.282 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. პირველი ხარისხისა.

გეგმების შესრულება

ხელის რაიონის კოლმეურნეობებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმები. 1 ივნისისათვის გეგმის გადამეტებით დაითესა სიმინდი 85 ჰექტარი, კარტოფილი—115 ჰექტარი. თავდაცვის ფონდისათვის დათესილია სიმინდი 34 და კარტოფილი 28 ჰექტარი. რაიონის ყველა კოლმეურნეობაში დაიწყო სიმინდის მარგვლა. 1 ივნისისათვის გამარგლული იყო 343 ჰექტარი. წინ არიან ყარადერეს, დღვანის, ალმას და რიკეთის სასოფლო საბჭოები.

ვ. რუსიეშვილი

* * *

ყვარლის რაიონმა ყაზანლიყის ვარდის კრეფის გეგმა 5 დღეში 142 პროცენტით შეასრულა, ნაცვლად 13.000 კილოგრამისა ჩაბარებულია 18.500 კილოგრამი მოსავალი. ვარდის კრეფა და ჩაბარება გრძელდება.

ყვარლის რაიმიწგანის გამგე
მარკოზაშვილი

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3301885, გაცემული შალვა ნესტორის-ძე **ხურციას** სახელზე, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 2077664, გაცემული დიმიტრი ეგნატეს-ძე **ნაზაროვის** სახელზე, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 3083447, გაცემული ალექსანდრე ვასილის-ძე **გუნიას** სახელზე, და საკ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 3096164, გაცემული ნაზი ალისტრახოს-ასულ **გოგიჩაიშვილის** სახელზე. დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 1064484, გაცემული ნიკოლოზ თედორეს-ძე **ლიფინცევის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

თეატრებში

4 ივნისს: **სახოპერა**—„ტრავიატა“. **რუსთაველის სახელობის**—„საპატარძლო აფიშით“. **მარჯანიშვილის სახელობის** — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. **მუსიკალური კომედიის**—„არშინ-მალ-ალან“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—„რომეო და ჯულიეტა“.

ლექციები და მოხსენებები

5 ივნისს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პროფ. ათაბეგოვის ლექცია თემაზე: **„სამამულო ომის მომდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“.**

შესვლა თავისუფალია.

კინოებში

რუსთაველის სახ.—„ლედი ჰამილტონი“, **ოქტომბერი** — „ანტოშა რიბკინი“, **დამკვრელი**—„ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **კომკავშირელი**—„ზეცა“, **სპარტაკი** — „მეღორე“, „ცა“ და „ჯოჯოხეთი“, **ლუქსემბურგის სახ.**—„კრტოვსკი“, **26 კომ. სახ.**—„გამარჯვება უდაბნოში“, **კომინტერნი** — „ჯარისკაცი ფრონტიდან მოდიოდა“, **ორჯონიკიძის პარკი**—„დიდი განთიადი“, **მეცნიერება და ცოდნა**—„წითელი ეშმაკუნები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახელობისა აცხადებს, რომ 1943 წლის 14 ივნისს, დღის 1 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომების დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **გერმანე თედორეს-ძე გობეჯიშვილი** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ბრინჯაოს უძველესი ქართული ბალთები“.**

ოფიციალური ოპონენტები: **აკად. გ. ჩუბინაშვილი** და უფრ. მეცნ. თანამშრომელი **ა. აფაქიძე,** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სამუშაო საათებში ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8).

დირექცია.

ა. წ. 17 მაისს სახლიდან გავიდა ... ლევან (კუკური) სპასა-ძე **ქერდიკაშვილი.** 11 წლისაა, სახე ზე აქვს ჭორფლი, ტანზე აცვია თეთრი ხალათი და ყავისფერი ტოლოს შარვალი. მნახველს ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: თბილისი, მსროლელთა ხევი № 9 (ლენრაიონი). ქერდიკაშვილი. 1290

დედა ნინო, შვილები დავით, აბო, ელიკო ციბაძეები, ნინო იოსელიანი იუწყებიან **ვასილ დავითის-ძე ციბაძის** გარდაცვალებას. ანაშვიდი 5/VI, 7 ს. ნინოშვილის, 4. დაკრძალვა 6/VI, 2 ს. 1289

ცოლი როზა, ძმა ილიკო ცოლშვილით, დები ოლგა, ელენე იუწყებიან, რომ 6/VI, 2 ს. ვერის სასაფ. დანიშნულია **გიორგი დიმიტრის-ძე შენგელიას** სამოქალაქო პანაშვიდი. 1288

შვილები გრიშა, ვახტანგ, თამარ ოჯახებით, მარიამ, ნატაშა ქმარშვილით იუწყებიან **ანეტა ახვლედიანის** გარდაცვალებას. პანაშვ. 4, 5/VI, 7 ს. სუნდუკიანცის, 17, დაკრძ. 6/VI, 2 ს. 1287

მშობლები ნინო, კოლა, დები მარო, ქეთო, ბიძა გიგა, ძალო მანანა, სიძეები იუწყებიან **დავით ნიკოლოზის-ძე მათეშვილის** გარდაცვალებას, გამოსვ. 5/VI, 5 ს. თამარის, 7. 1285

შვილები მიშა, ლევან, სეგერიან, სონია, ლენა, რძლები ლიუბა, თამარ, ვალია შვილებით იუწყებიან **ბეგლარ თედორეს-ძე მიქაიას** გარდაცვალებას. 1286

საქ. კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის თანამშრომლები იუწყებიან რაიკომის მესამე მდივნის მ. ქრისტესიაშვილის დედის **მ ა ი ა ს** გარდაცვალებას.

მშობლები სანდრო, ოლღა, მამიდა ნატალია იუწყებიან, რომ 6/VI, 5 ს. კუკიის სასაფ. დანიშნულია **მარიამ და რუსიკო ჭიაურელების** სამოქალაქო პანაშვიდი. 1281

ალექსანდრე ვასილის-ძე ზალდასტანიშვილი შვილები იუწყებიან, რომ 6/VI, 2 ს. კუკიის სასაფ. დანიშნულია **ანიკო და გელა ზალდასტანიშვილების** სამოქალაქო პანაშვიდი. 1282

მეუღლე ლუბა, მშობლები მარო, ალექსანდრე, ძმა ნოდარ იუწყებიან **ნიკოლოზ მიქაშავიძის** გარდაცვალებას. გამოსვ. 4/VI, 5½ ს. ძერჟინსკის, 10. 1284

კასიანე, ლეონინა გაჩეჩილაძე შვილებით, რძლებით, სიძეებით იუწყებიან **მერი ამბაკოს-ასულ